საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა (საქსტატი) და ქუთაისის უნივერსიტეტს შორის

თანამშრომლობის მემორანდუმი

1. მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები

სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი (მის: ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, გურამიშვილის 39)
და

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი (მის: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. №13)

2. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმი განსაზღვრავს თანამშრომლობის პრინციპებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და ქუთაისის უნივერსიტეტს შორის.

3. თანამშრომლობის ზოგადი ასპექტები

საქსტატსა და ქუთაისის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ხარისხიანი და ობიექტური სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებასა და გაცვლას:

ა) საქსტატი მზადაა მჭიდროდ ითანამშრომლოს ქუთაისის უნივერსიტეტთან მეთოდოლოგიურ საკითხებზე; მნიშვნელოვანი სტატისტიკური პროექტების განსახორციელებლად შექმნას ერთობლივი სამუშაო ჯგუფები;
ბ) საქსტატი მზადაა განიხილოს ქუთაისის უნივერსიტეტის ინტერესის სფეროში არსებული კონკრეტული საკითხები და საქსტატის სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოს ქუთაისის უნივერსიტეტი მისთვის სასარგებლო ინფორმაციით, მოთხოვნის მიხედვით, სხვადასხვა ჭრილში;
გ) სამომავლო ურთიერთობების დაგეგმვის და აზრთა გაზიარების მიზნით, საქსტატი და ქუთაისის უნივერსიტეტი პერიოდულად გაუწევენ ორგანიზებას ერთობლივ ღონისძიებებს ურთიერთშეთანხმებულ ფორმატში.

4. ხელმომწერ მხარეთა ვალდებულებები

4.1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური:

ა) უზრუნველყოფს საბაკალავრო და სამაგისტრო კურიკულუმების მიხედვით, ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკისა და სტაჟირების გავლას კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოფს ქუთაისის უნივერსიტეტის მონაწილეობას მნიშვნელოვანი სტატისტიკური პროექტების განხორციელებაში.

4.2. ქუთაისის უნივერსიტეტი:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს შეუწყობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის გამოყენებული მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების, გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციის შესახებ სამუშაო შეხვედრების, დისკუსიების ორგანიზებას, სტუდენტების, დოქტორანტების და თანამშრომელთა ინფორმირებას სტატისტიკის სისტემის მნიშვნელობის, როლის და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ;

ბ) ხელს შეუწყობს საქსტატის თანამშრომელთა სასწავლო პროცესში ჩართულობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) უზრუნველყოფს საქსტატის თანამშრომელთა მონაწილეობას სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაში;

დ) ჩაატარებს ერთობლივ საერთაშორისო და/ან საუნივერსიტეტო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს და ტრეინინგებს საქსტატის მონაწილეობით.

5. მემორანდუმის ხანგრძლივობა და პირობები

მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან. მემორანდუმის მოქმედების ვადა განისაზღვრება ერთი წლით და გაგრძელდება იგივე ვადით, თუ რომელიმე ხელმომწერი მხარე ამის წინააღმდეგი არ იქნება. ნებისმიერ დროს შესაძლებელია მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ორივე მხარის შეთანხმებით.

6. სხვა პირობები

წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეული მხარე მიიღებს დოკუმენტის თითო ასლს.

7. ხელმოწერები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	ქუთაისის უნივერსიტეტი
ზაზა ჭელიძე აღმასრულებელი დირექტორი	ლელა ქელბაქიანი რექტორი

24.01.2018